საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/10 **17/06/2021**

რეცენზია

კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) „ცხელება ადრეულ ბავშვთა ასაკში - დიაგნოსტიკა და მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში “ შესახებ

ცხელებით მიმდინარე დაავადებები ადრეული ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის ერთ-ერთი გავრცელებული პრობლემაა და სხვადასხვა წყაროს მონაცემებით მშობლების 20-40% აღნიშნავს ამ მდგომარეობას წლის განმავლობაში ერთხელ მაინც. შესაბამისად, ცხელება წარმოადგენს ადრეული ასაკის ბავშვის ექიმთან ვიზიტის ყველაზე ხშირ მიზეზს და 5 წლამდე ასაკის ბავშვების ჰოსპიტალიზაციის მეორე ყველაზე გავრცელებულ მიზეზს (https://www.nice.org.uk/guidance/cg160/documents/feverish-illness-in-children-update-nice-guideline2).

ამ ფაქტის გათვალისწინებით, არსებობს ცხელების ადრეული ამოცნობის, შეფასებისა და დროული მკურნალობის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების არსებობის აუცილებლობა, რაც ხელს შეუწყობს პირველადი ჯანდაცვის ექიმებს პედიატრიულ კონტინგენტში ცხელებით მიმდინარე დაავადებების მართვის გაუმჯობესებაში და შედეგად, ცხელებასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის, პოლიპრაგმაზიის და გართულებების რისკის შემცირებაში.

პროტოკოლი „ცხელება ადრეულ ბავშვთა ასაკში - დიაგნოსტიკა და მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ წარმოადგენს დღეისათვის ხელმისაწვდომ უახლეს, სარწმუნო მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების ამსახველ სახელმძღვანელოს პირველადი ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ექიმებისთვისა და სხვა სამედიცინო პერსონალისთვის (ოჯახის ექიმი, პედიატრი, უმცროსი ექიმი, რეზიდენტი, ექიმი სპეციალისტი, ექთანი).

პროტოკოლის მომზადებისას სამუშაო ჯგუფის მიერ გამოყენებული იყო ამერიკის ოჯახის ექიმთა საზოგადოების, ამერიკის პედიატრიის აკადემიის, კანადის ოჯახის ექიმთა საზოგადოების, კლინიკური პრაქტიკის ეროვნულ რეკომენდაციების და Uptodate-ის მონაცემები, ასევე სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო წყაროების თანამედროვე მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები და გაიდლაინები.

პროტოკოლში მოცემული რეკომენდაციები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. მასში დაწვრილებით არის განხილული პედიატრიულ ასაკში ცხელების რისკის შეფასების მეთოდოლოგია, საშიშროების ნიშნების ამოცნობა შუქნიშნის ფერების მიხედვით,

რომელიც ოჯახის ექიმებისთვის წარმოადგენს მარტივ ინსტრუმენტს დაავადების სიმძიმის შეფასების თვალსაზრისით; კარგად არის განხილული ცხელების სხვადასხვა ტიპები და მათი შესაძლო მიზეზები, სიმპტომები და ობიექტური გასინჯვის მონაცემები, რომლებიც სპეციფიკურია სხვადასხვა დაავადებისთვის, უცნობი ეტიოლოგიის ცხელების შეფასებისა და დიაგნოსტიკის ალგორითმი, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები, რომლებიც დაყოფილია პირველი რიგის კვლევებად და შედარებით ღრმა კვლევებად, რაც ოჯახის ექიმს დაეხმარება დიაგნოსტიკური ძიების პროცესის წარმართვასა და გამოკვლევის მეთოდების პრიორეტიზაციაში.

პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის სასარგებლო იქნება პროტოკოლში ასახული რეკომენდაციები ლაბორატორიული კვლევების შედეგების ინტერპრეტაციის შესახებ, რომელთა საფუძველზეც გამარტივდება დაავადების შეფასებისა და დიაგნოსტიკის პროცესი.

კარგია, რომ პროტოკოლში ყურადღება გამახვილებულია ბავშვის ჰოსპიტალიზაციისა და რეფერალის კრიტერიუმებზე, სადაც კლინიკური მდგომარეობის გარდა, ჰოსპიტალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს ოჯახის სოციალური გარემო და მშობლების უნარი საჭიროებისას დაეხმარონ ბავშვს და ადეკვატურად შეაფასონ საშიშროების ნიშნები.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი პროტოკოლი „ცხელება ადრეულ ბავშვთა ასაკში - დიაგნოსტიკა და მართვა პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ წარმოადგენს კარგად მომზადებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული თანამედროვე მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები ადრეული ასაკის ბავშვებში ცხელებით მიმდინარე დაავადებების შეფასებისა და მართვის შესახებ და მისი დროული დანერგვა ხელს შეუწყობს ცხელებასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციების, პოლიპრაგმაზიისა და გართულებების რისკის შემცირებას.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით რეკომენდაციას ვუწევთ პროტოკოლის დამტკიცებას წარმოდგენილი ფორმით.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი